www.24saati.ge
24 საათი
The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს
© შპს 24 საათი ოთხშაბათი 30 მაისი 2012 წელი №[illegible] ფასი 50 თეთრი

საქართველო უსაფრთხო ქვეყნების ხუთეულში

[illegible]

[illegible] "თბილისი მარიოტში" [illegible]

[illegible]



საქართველო უსაფრთხო ქვეყნების ხუთეულში

[illegible]

კვლევა საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა "გორბი" იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა და იგი შეეხება დაზარალებულ დანაშაულს, მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საზოგადოების დამოკიდებულების მართლმსაჯულების სისტემისა და [illegible].

კვლევის ფარგლებში გამოკითხეს 3001 რესპონდენტი. შედეგების მიხედვით, გასული წლის განმავლობაში საქართველოში გამოკითხულთა მხოლოდ 1,2 პროცენტი გახდა დანაშაულის მსხვერპლი, ევროკავშირში კი - 3. მაშინ როცა, ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, 1992 წელს დანაშაულის მსხვერპლი გახდა გამოკითხული მოსახლეობის 12,9 პროცენტი, 1996 წელს - 14,2, ხოლო 2010 წელს - 2,1 პროცენტი. როგორც კვლევის ავტორები განმარტავენ, ეს მონაცემი დაახლოებით 13-ჯერ ჩამოუვარდება ევროპის ანალოგიურ მონაცემს.

გასულ წელს გაიზარდა მოსახლეობის უსაფრთხოების განცდაც, გამოკითხულთა 98 პროცენტს არ ეშინია ფიზიკური თავდასხმის, 97 პროცენტს კი აქვს ოჯახის წევრებისა და საცხოვრებელი ბინის უსაფრთხოების განცდა. ამასთან, გამოკითხულთა 94 პროცენტი [illegible]ვის სახიფათოდ არც ერთ უბანს არ მიიჩნევს, ხოლო 85 პროცენტი კი უსაფრთხოდ გრძნობს თავს ღამით, ხოლო 82 პროცენტი [illegible].

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ 1992-2004 წლებში საქართველოში დანაშაულის მსხვერპლთა მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო. ამ პერიოდში, [illegible] დანაშაული, როგორიცაა ქურდობა, ყაჩაღობა, [illegible] და ბინის ქურდობის ფაქტები. როგორც [illegible], 2005 წლიდან დანაშაულის საგრძნობი კლება და [illegible] დანაშაულის მსხვერპლთა რაოდენობის შემცირება დაიწყო.

კვლევის მიხედვით, გამოკითხულ რესპონდენტთა 0,4 პროცენტი აცხადებს, რომ 2006-2010 წლებში მათ ზიანი მიაყენეს ავტომანქანების ქურდობით, 2011 წელს კი ავტომანქანების ქურდობა რესპონდენტთათვის პრობლემას აღარ წარმოადგენდა.

ავტომანქანების გატაცების მაჩვენებელი თუ 2006-2010 წლებში იყო 3,6 პროცენტი, შარშან ეს დანაშაული შემცირდა და მასზე გამოკითხულთა მხოლოდ 0,3 პროცენტი საუბრობდა. ბინის ქურდობა ბოლო ხუთი წლის მანძილზე პრობლემა იყო რესპონდენტთა 2,2 პროცენტისთვის, 2011 წელს კი - და ზარალებულთა მხოლოდ 0,5 პროცენტისთვის. 2006-2010 წლებში [illegible] დაზარალდა გამოკითხულთა 0,4 პროცენტი, შარშან - 0,2. ბოლო 5 წლის მანძილზე თუ [illegible] დანაშაულისგან, როგორიცაა [illegible], ზიანი განიცადა რესპონდენტთა 1,1 პროცენტმა, შარშან - მხოლოდ 0,5-მა.

2011 წელს კვლევის [illegible] ევროპის ქვეყნებში ჩატარებული ანალოგიური კვლევის შედეგად მიღებული შედეგები. 10 კატეგორიის დანაშაულის [illegible] ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, საქართველო მეოთხე ადგილს იკავებს - [illegible], დანიისა და გერმანიის შემდეგ. საქართველოს შემდეგაა ჰოლანდია, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო.

2010 წელს საქართველოში გამოკითხულთა 86 პროცენტი თვლიდა, რომ "ქურდული სამყაროს" ავტორიტეტმა საგრძნობლად იკლო, 2011 წელს კი - 87 პროცენტი.

მსოფლიოს 32 ქვეყანაში პოლიციის საქმიანობის დადებითი შეფასებით საქართველომ 2010 წელს მეხუთე ადგილი დაიკავა - 85 პროცენტით, ხოლო 2011 წელს საქართველომ ერთით საფეხურით აიწია და 87 პროცენტით მეოთხე ადგილი დაიკავა - ფინეთის, აშშ-ს და კანადის შემდეგ.

2011 წელს ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვით, სამართალდამცავი უწყებების [illegible] ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობს საპატრულო პოლიცია. მას მოსდევს ზოგადად პოლიცია, შემდეგ ადგილზეა პროკურატურა, მეოთხეზეა სასამართლო, ბოლო ადგილს იკავებს ადვოკატურა.

კვლევით დადგინდა ისიც, რომ სკოლებში მოიმატა ბავშვების დაცულობის განცდამ. ეს მაჩვენებელი 2010 წელს თუ 63 პროცენტს შეადგენდა, 2011 წელს გაიზარდა 81 პროცენტამდე, ხოლო 2012 წელს კი 92 პროცენტს მიაღწია.

"მიუხედავად ჩატარებული მნიშვნელოვანი რეფორმებისა, ჩვენ გვაქვს კითხვები სასამართლოს მიმართულებით," - განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა პრეზენტაციაზე, თუმცა საკითხის დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანი კი, კვლევის შედეგებით კმაყოფილება გამოთქვა: **"კვლევა ადასტურებს, რომ საქართველო ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყნად რჩება. ეს ადასტურებს, რომ ნულოვანი ტოლერანტობა გარკვეული ტიპის დანაშაულებთან მიმართებაში იყო სწორი და ეს შედეგები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ სისხლის სამართლის ძალიან ფრთხილი, მაგრამ მაინც ლიბერალიზაცია,"** - აღნიშნა პრეზენტაციაზე თინა ბურჯალიანმა.